დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტის (შემდგომში - „სტუდენტი“) შუალედური შეფასების წესი და პირობები (შემდგომში - „შუალედური შეფასება“) არეგულირებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სტუდენტის შუალედური შეფასების ჩატარების წესსა და პირობებს.

მუხლი 2. შუალედური შეფასების არსი და მიზანი

1. შუალედური შეფასების მიზანია სტუდენტის მიერ მიღწეული ცოდნისა და უნარების შემოწმება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა სტუდენტისთვის წინამდებარე წესის მე-3 მუხლის მე-9 პუქტით დადგენილ ვადაში.
2. შუალედური შეფასება, როგორც განმავითარებელი შეფასება, ადგენს სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ და გამოიყენება, □□□□□□ სტუდენტის მხარდაჭერის მიზნებისათვის, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - „პროგრამა“) შემდგომი სრულყოფისთვის.
3. შუალედურ შეფასებაზე გასვლა სტუდენტისთვის არის სავალდებულო და წარმოადგენს შემდგომში საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.

მუხლი 3. შუალედური შეფასების ორგანიზება

1. სტუდენტის შუალედური შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ინსტრუმენტს, შეფასების პროცესსა და შეფასების მტკიცებულებას.
2. შუალედური შეფასების დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი, ხოლო დუალური მიდგომით განხორციელებული პროგრამის შემთხვევაში სასწავლო საწარმოსთან.
3. უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით იქმნება შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი და ინიშნება ჯგუფის ხელმძღვანელი.
4. შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი პასუხისმეგებლია:

ა) შუალედური შეფასების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე;

ბ) სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაზე;

გ) სტუდენტის შუალედურ შეფასებაზე პასუხისმგებელი პირების შერჩევაზე;

დ) სტუდენტის შუალედურ შეფასებაზე.

5. შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფში შედგება: უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის წარმომადგენლებისგან, პროგრამაში შემავალი მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლებისგან, პროგრამის ხელმძღვანელებისგან, უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან/დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლებისგან/დარგის ექსპერტებისგან/განათლების

ექსპერტებისგან/სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლებისგან. დუალური პროგრამების შემთხვევაში სავალდებულოა ასევე პარტნიორი სასწავლო საწარმოს/საწარმოების მონაწილეობა.

6. სტუდენტის შუალედური შეფასების ჩატარების პროცესში არ არის რეკომენდირებული შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში ჩართული პირ(ებ)ის მონაწილეობა.

7. სტუდენტის შუალედური შეფასების პროცესში ჩართული პირ(ებ)ი შეფასებისას ეყრდნობა შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს და შეფასების კრიტერიუმებს, რომელსაც გავლილი აქვს ვალიდაცია უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მენეჯერთან.

8. უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი შუალედური შეფასების შედეგებს ასახვს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში/ წერილობითი ფორმით შუალედური შეფასების უსწყისის ფორმაში. შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფის ხელმძღვანელის ანგარიშის საფუძველზე.

9. შუალედური შეფასება ტარდება, როდესაც პროგრამის სასწავლო გეგმით გავლილი იქნება მოდულების არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60%.

10. შუალედური შეფასების თარიღები დგინდება უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხემლძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

11. ინფორმაცია შუალედური შეფასების ვადების და პირობების შესახებ სტუდნეტ(ებ)ს მიეწოდება შეფასების დაგეგმვამდე არა ნაკლებ ერთი თვით ადრე.

12. დუალური ფორმით პროგრამის განხორცილების შემთხვევაში შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობაა სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი.

13. სტუდენტს შუალედური შეფასების შედეგების თაობაზე ინდივიდუალურად ინფორმაცია მიეწოდება tsu.ge-ს დომეინით გახსნილ პირად ელ. ფოსტაზე გონივრულ ვადაში (არა უგვიანეს 1 თვე).

მუხლი 4. შუალედური შეფასების ინსტრუმენტები და მათი ვალიდაცია

1. შუალედური შეფასება შეესაბამება პროფესიულ განათლებაში დადგენილი შეფასების სისტემის ზოგად მახასიათებლებს: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, მოქნილობა, სამართლიანობა და ობიექტურობა.

2. შუალედური შეფასების თემატიკა უნდა მოიცავდეს სტუდენტის შეფასების მომენტისათვის პროგრამის შემადგენელი მოდულების დასრულებულ სწავლის შედეგებს, რაც გულისხმობს კომპლექსურად, განვლილი თემატიკის შემაჯამებელ დავალებას/დავალებებს. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს:

ა) კომპლექსური დავალება;

ბ) პრაქტიკული დავალება;

გ) პრეზენტაცია;

დ) პორტფოლიოს პრეზენტაცია;

ე) დასრულებული ან მიმდინარე პროექტი;

ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა ტიპის დავალება/დავალებები.

3. შუალედური შეფასების ფარგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დიფერენცირებული (ქულობრივი) ან/და არადიფერენცირებული (დადასტურდა/ვერ დადასტურდა) შეფასება;

4. შუალედური შეფასება სრულდება განმავითარებელი უკუკავშირით, რაც გულისხმობს კომენტარს/უკუკავშირს სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და სწავლის ხელშეწყობის მიზნით.

5. შუალედური შეფასების ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პროგრამის სახელწოდება;

ბ) სტუდენტის სახელი და გვარი;

ე) შეფასების ჩატარების ადგილი;

ვ) შეფასების ჩატარების თარიღი;

ზ) მოდულების სწავლის შედეგები;

თ) შესრულების კრიტერიუმები;

ი) შეფასების მიმართულება;

კ) სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტი;

ლ) სტუდენტის შეფასების პროცესის აღწერა;

მ) სტუდენტის შეფასების მტკიცებულება;

ნ) სტუდენტის შეფასების სქემა;

ო) შეფასების დამატებითი პირობები (არსებობის შემთხვევაში);

პ) სტუდენტის განმეორებითი შეფასების პროცედურები.

6. შეფასების ინსტრუმენტის პროექტს შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი ვალიდაციის მიზნით, შეფასების განხორციელებამდე 15 სამუშაო დღით ადრე, წარუდგენს უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, რომელიც ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტების თავსებადობას განვლილ მოდულებთან მიმართებაში.

7. უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტის პროექტს ითანხმებს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში და უკუკავშირის სახით შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფს აწვდის ორი სახის ინფორმაციას: პირველი - შეფასების ინსტრუმენტი არ საჭიროებს ცვლილებას და ვალიდურია; მეორე - შეფასების ინსტრუმენტი არ არის ვალიდური საჭიროებს ცვლილებებს გეძლევათ კონკრეტული რეკომენდაციები.

8. შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი ვალდებულია 5 სამუშაო დღის ვადაში ხელახლა წარმოადგინოს შეფასების ინსტრუმენტები რეკომენდაციების გათვალისწინებით.

9. უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში ჩართოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და სხვა პროფესიული პროგრამის მასწავლებლები რომლებიც არ არიან შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფის წევრები.

10. სტუდენტის შუალედური შეფასება შესაძლებელია მხოლოდ შეთანხმებული და ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით.

მუხლი 5. დამატებითი შუალედური შეფასების პირობები

1. სტუდენტი უფლებამოსილია, დამატებითი შუალედური შეფასების ჩატარების ვადაში მხოლოდ ერთხელ აღადგინოს გაცდენილი შუალედური შეფასება.

2. [illegible] ([illegible]) [illegible] [illegible] დამატებით შუალედურ შეფასებაზე მას შეუძლია არგუმენტირებული განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის

ხელმძღვანელს, სადაც უნდა დაასაბუთოს წერილობით და დოკუმენტალურად შეფასების გაცდენის მიზეზი.

3. უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფთან ერთად, იღებს ორი სახის გადაწყვეტილებას: სტუდენტის დამატებით შუალედურ შეფასებაზე დაშვების შესახებ, სტუდენტის დამატებით შუალედურ შეფასებაზე არ დაშვების შესახებ.

4. სტუდენტს გადაწყევტილება ეცნობება განცხადების დაწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. სტუდენტის დამატებით შუალედურ შეფასებაზე დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან გონივრულ ვადაში (არა უგვიანეს 20 სამუშაო დღე) შეფასების ადმინისტრირების ჯგუფი უზრუნველყოფს შუალედური შეფასების ჩატარებას და სხვა თანმდევი პროცედურების განხორციელებას.

6. [illegible] ([illegible]) [illegible] [illegible] [illegible].